

**სახელმწიფო მოხელე****ინტერვიუ საქართველოს პარლამენტის წევრთან  
ლადო კაპავასთან****მიზანი**

**ლადო პაპავა** – დაიბადა 1955 წლის 25 მარტს თბილისში. 1977 წელს დამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტი ეკონომიკური კიბერნეტიკის სპეციალობით და მენიჭა ეკონომიკურ-მათემატიკოსის კვალიფიკაცია. მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად. ერთი წლის შემდეგ გაემზავრა მოსკოვში, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ ეკონომიკურ-მათემატიკურ ინსტიტუტში, სადაც იყო ჯერ სტაუიორ-მკვლევარი და მერე – დაწრებული სწავლების ასპირანტი. 1982 წლის ივლისში დაბრუნდა თბილისში ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში უფროს-მეცნიერ თანამშრომლად, 1987 წლიდან წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელია, 1989 წლიდან – მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, ხოლო 1991 წლის აპრილიდან 1996 წლის მარტამდე იყო ამავე ინსტიტუტის დირექტორი, რომელიც სწორედ მისი ინიციატივით, 1991 წლიდან ინსტიტუტის დამარსებლის, აკადემიკოს პაატა გუგუშვილის სახელობისაა. არის ეკონომიკის მეცნიერებათა ღოქტორი, პროფესორი. 06.1994-05.2000 პერიოდში იყო საქართველოს ეკონომიკის მინისტრი, 06.2000-07.2001 – საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის მოადგილე, 06.2001-დან დღემდე – საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, 2003-2005 – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაკროეკონომიკის კათედრის გამგე. 04.2004-დან დღემდე არის საქართველოს პარლამენტის წევრი. პყავს მეუღლე და სამი შვილი.

**კორ. – ბატონო ლადო, ეკონომიკის მინისტრობის შემდეგ თქვენი პოლიტიკაში დაბრუნება როგორ მოხდა?**

**ლ.პ. –** 2003 წლის დასაწყისში უკვე დაიწყო არჩევნებში მონაწილეობაზე შემოთავაზებები. ერთ-ერთმა იმდონდელმა პარლამენტარმა, ჩემთვის ძალიან პატივსაცემა პიროვნებამ დამირება, რომ პრეზიდენტი შევარდნამე მიიჩნევს, რომ ჩემთან მიმართებაში გულდასაწყვეტი გაუგებრობა მოხდა როცა მთავრობიდან გამიშვა და რომ საარჩევნო სიაში ერთ-ერთ წამყვან ადგილს მთავაზობს; მე ვუპასუხე, რომ ერთი და იგივე წყალში ორჯერ შესვლა არ შეიძლება, ჩვენი გზები დიდი ხანია გაიყო და ის, რასაც შევარდნამე აკეთებს, ჩემთვის არის აბსოლუტურად მიუღებელი-მეთქი.

2003 წელს მარტო შევარდნაძისგან ანუ სახელისუფლო პარტიისაგან არ მიმიღია შემოთავაზება. სხვა, ოპოზიციური პარტიებიდანაც მივიღე შემოთავაზება, რომ არჩევნებში მიმეღო მონაწილეობა, რაზედაც მე მათ ზრდილობიანი უარი ვუთხარი. ერთადერთი, უარი ვერ ვუთხარი ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს. მისი პერსონალური თხოვნა გახლდათ და ჩემთვის ყველაზე გადამწყვეტი იყო ის, რომ მას მაშინ პარტია არ პქონდა და არც მე მევალებოდა, რომ რომელიმე პარტიის წევრი გაემსდარიყავი. ამიტომ ქალბატონ ნინოს ვუთხარი, მოდით, ჯერ საარჩევნო პროგრამაზე ვიმუშაოთ და თუ ეს მისაღები იქნება, თქვენს გუნდში მერე ვიქნები-მეთქი.

შემდეგ შეიქმნა ბლოკი „ბურჯანაძე-დემოკრატები“, გახსოვთ ალბათ და ერთ-ერთი, მაგრამ მთავარი ავტორი დოკუმენტისა, რომლის პრეზენტაცია ხდებოდა, როგორც წინასაარჩევნო დოკუმენტის, გახლდით მე. აი, ასე მოხდა ჩემი კვლავ დაბრუნება აქტიურ პოლიტიკში.

### **- რამდენად კმაყოფილი ბრძანდებით ამ დაბრუნებით?**

— მე მაქს შესაძლებლობა, შევადარო ჩემი ორი საქმიანობა: ლადო პაპავა, როგორც მინისტრი 6 წლის განმავლობაში და ლადო პაპავა, როგორც დეპუტატი (უკვე სამწელიწადნახევარია, რაც პარლამენტში ვარ). ჩემს მინისტრობაში იყო ორი ეტაპი: წარმატებული და ალბათ, წარუმატებული. წარმატებულად მივიჩნევ იმ ეტაპს, როდესაც მოვახდინეთ პურის ბაზრის ლიბერალიზაცია; 12-13 წლის წინ ტალონები იყო და ხალხი პურის რიგში ღამეებს ათენებდა. ღღეს ეს პრობლემა არ არის; ქვეყანას ვალუტა არ ჰქონდა, იყო გაუფასურებული კუპონი. ღღეს გვაქს ეროვნული ვალუტა. ამ ორი პრობლემის გადაწყვეტაში დიდი იყო ჩემი წვლილი. წარუმატებული ეტაპი არის ძირითადად 99 წლიდან, როდესაც მთელი ჩემი დრო იგარგებოდა ხელისუფლებაში ზოგიერთ მოკალათებულ კორუმბირებულ ხალხთან დაპირისპირებაში; თუმცა, ამას საჯაროდ არ ვამბოდი, რადგან ყოველოვის მიმართდა, რომ თუ მთავრობაში ვარ, ინფორმაცია პირველ რიგში პრეზიდენტს უნდა მივაწვდინო, ხოლო მასმედია მაშინ უნდა გამომეუყენებინა, როცა მთავრობაში არ ვიქნებოდი.

რაც შეეხება დეპუტატობას, შემიძლია ვოჭვა, რომ ჩემი დეპუტატობა მინისტრობასთან შედარებით უფრო წარუმატებელია.

### **- რატომ ფიქრობთ ასე?**

— იმიტომ, რომ მინისტრობის დროს მე რაღაც გამიკეთებია. დეპუტატობის დროს ჩემი საქმიანობით კი უქმაყოფილო ვარ. პირველად და ძირითადად გული გამიტყდა 2004 წლის დეკემბერში, როდესაც პარლამენტში ბიუჯეტი იხილებოდა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაფინანსების ბეჭი წყდებოდა. მოგეხსენებათ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას აქვს თავისი კანონი, რომლითაც ის რეგულირდება. ამ კანონში ეწერა, რომ აკადემია არის დამოუკიდებელი საჯარო სამართლის თურიდაული პირი; მაგრამ ბიუჯეტის პროექტში ჩაწერეს, რომ აკადემიის დაფინანსება შესული იყო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებაში. ეს კი, პრაქტიკულად, ეწინააღმდეგებოდა კანონი „მეცნიერებათა აკადემიის შესახებ“ და ნიშნავდა აკადემიის დაქვემდებარებას განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსადმი. მაშინ კომიტეტზე საკითხი ასე დავაყენე: მოდით, სად უნდა იყოს მეცნიერებათა აკადემია, ამას ბიუჯეტში კი ნუ განვიხილავთ, ეს განვიხილოთ ცალკე, როცა იქნება ცვლილებები „მეცნიერებათა აკადემიის შესახებ“ კანონში; ხოლო ამ ცვლილებების გარეშე ბიუჯეტში შეტანა ეწინააღმდეგება მოქმედ კანონს და ბიუჯეტის ფორმატში ინსტიტუციონალური რეფორმა არ უნდა გადაწყდეს. კომიტეტზე ჩემი ეს ნათქვამი ყურად არ იღეს, მაგრამ სესიაზე მომიწია გამოსვლა, თანაც არაერთხელ; სიტუაცია დაიძინა. ქალბატონი ნინო ჩაერია, პარლამენტმა კენჭი უყარა და გავიდა ჩემი წინადაღება. მაგრამ, 29 თუ 30 დეკემბერს პარლამენტში მივედი და ვნახე, რომ რასაც პარლამენტმა კენჭი უყარა, ის ბიუჯეტში შესული არ იყო, ყველაფერი იყო ძველი რედაქციით, ანუ მეცნიერებათა აკადემია ისევ იყო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებაში. მითხოვეს, რომ ყველანაირი ხელმოწერები არის (ჩემი ხელმოწერა არ იყო საჭირო, რადგანაც პარლამენტში ისეთი თანამდებობა არ მიაკვია, რომ ღოკუმენტზე ჩემი ხელმოწერა საჭირო ყოფილიყო), ახლა ჩვენ უნდა შევუტაროთ ქალბატონ ნინოს ხელისმოსაწერად, რომ დროზე გადაეგზავნოს პრეზიდენტს, რათა პრეზიდენტმა მოაწეროს და დამტკიცდეს ბიუჯეტი, სანამ ახალი წელი დადგება, თორემ პრეზიდენტი ახალი წლის შესახევდრად ხვალ დილას უკვე კიევში მიფრინავს (გახსოვთ, მაშინ „ნარინჯისფერი რევოლუცია“ იყო და 2005 წლის დადგომა საქართველოს პრეზიდენტმა უკრაინიდან მოგვილოცა), დავრჩებით დაუმტკიცებელი ბიუჯეტით და დაირღვევა კონსტიტუციაო. ის დღე მართლაც ძალიან საინტერესო იყო! ქალბატონი ნინო არ გახლდათ პარლამენტში, თუმცა ტელეფონით ვუკავშირდებოდით მას. ბატონ ზურაბ უვანიას მოძებნა საერთოდ შეუძლებელი გახდა და დარჩა ყველაფერი ისე, როგორც იყო მომზადებული; ანუ გამოჩნდა, რომ იყო ფარსი: **პარლამენტმა კენჭი უყარა ერთს და მაინც გავიდა ის, რაც უნდოდა მთავრობას.**

მაშინ ძალიან გამიტყდა გული. მივხვდი, რომ თურმე არანაირი მნიშვნელობა არა აქვს: შეიძლება პარლამენტმა კენჭი უყაროს ერთ ღოკუმენტს, მაგრამ ხელი მოეწეროს და გამოქვეყნდეს მაინც სხვა ღოკუმენტი. უფრო მეტიც, მაშინ მე ხელში მეჭირა სტენოგრაფიული ჩანაწერები იმისა, რას ეყარა კენჭი. ყველა მეუბნებოდა: პო, მართალი ხარ, მაგრამ მაინც ასეა!

ამის მერე, საერთოდ, არანაირი სტიმულიც კი არ მქონდა რამე დამტკიცება — ახალი კანონპროექტი ან ცვლილებები მოქმედ კანონებში. რაც შეეხება იმას, რომ ხელი შემტაბადა ისეთი რაღაცებისათვის, რაც როგორც ეკონომიკური ზონის შექმნა, ის კი მოვახერხე, რომ ამ კანონპროექტის განხილვისა და მიღების პროცედურები დროში გამტკიცებული გადასაცემი არ იყო. მაგრამ მაინც ვერაფერი იყო გამოსავალი. რა მნიშვნელობა აქვს, ერთი კვირით აღრე უყრიდნენ კენჭს, თუ

**პიზესი და  
ენეჯენტი**

ერთი კვირით გვიან! მას ეყარა კენჭი, გავიდა ის, რაც მიმაჩნია, რომ მავნებლობისა და უცოდინრობის ნაზავია.

ეს ორი მაგალითი არის ჩემთვის საქმარისი, რათა ვთქვა, რომ ჩემი დეპუტატად მოღვაწეობა არის ნაკლებწარმატებული, ვიდრე ეს იყო მინისტრობისას.

**- თუ არ ვცდები, უპარტიო ბრძანდებით...**

— დაას, არც ერთი პარტიის წევრი არ ვარ.

**- თუმცა, თავის დროზე „მოქალაქეთა კავშირის“ წევრი იყავით...**

— „მოქალაქეთა კავშირის“ წევრობაც საინტერესოა! ბატონ ზურაბ უვანის თანხმობით მომზადდა ეკონომიკური პროგრამა 1995 წლის არჩევნებისათვის და ეს პროგრამა ძირითადად ჩემი დაწერილი იყო. მართალია, მერე ამ პროგრამას დაემატა პოპულისტური ფრაზა — „მილიონი სამუშაო ადგილი“, რომელთანაც მე არანაირი კავშირი არ მქონდა, მაგრამ რადგან ტექსტი ჩემი დაწერილი იყო, ამ მოლიონი სამუშაო ადგილის ცოდვა ჩემზეც განაწილდა და ასე აღმოგჩნდი მე „მოქალაქეთა კავშირის“ შემადგენლობაში. თუმცა, როგორც კი მინისტრი აღარ ვიყავი, არც არავის, მათ შორის ზურაბ უვანისასაც და „მოქალაქეთა კავშირშის“ სხვა ლიდერებსაც არ გახსენებია, ლადო პაპავა იყო თუ არა „მოქალაქეთა კავშირში“. ვერც იმას გეტყვით, როდის შემიყვანეს და ვერც იმას, როდის გამომიყვანეს.

ბატონ ზურაბ უვანის დიდ პატივს ვცემდი და მის ხსოვნას პატივს მივაგებ, მაგრამ რაღაცებზე რომ არ ვიღებარაკო, არ შემიძლია. ჩემსა და ზურაბ უვანის შორის მართლაც კარგი ურთიერთობა იყო, განსაკუთრებით, 90-იანი წლების შუა პერიოდში. ჩვენი ურთიერთობა ცოტა დაიძაბა 2000 წელს, როდესაც ჩემი და შევარდნაძის გზები გაიყო; ჩვენი შეხვედრები საერთოდ შეწყვდა — ის მეორე კაცი იყო ქვეყნაში, პარლამენტის თავმჯდომარე და ვინ იყო მისთვის მაშინ ლადო პაპავა?! ყოფილი მინისტრი მხოლოდ. მერე განახლდა ჩვენს შორის ურთიერთობა, როცა ამერიკელებმა მიმიწვიეს სამუშაოდ, მანამდე უვანია აღარც კი მცნობდა.

**- თქვენ პარლამენტში „უმრავლესობის“ წევრი ბრძანდებით. თუ ესწრებით უმრავლესობის სხდომებს?**

— ადრე უფრო ხშირად ვესწრებოდი და ხანდახან ახლაც ვესწრები. უმრავლესობის სხდომებზე დასწრებას რეგლამენტი არ არეგულირებს; ამიტომ როცა მიმაჩნია, რომ ჩემთვის საინტერესო საკითხი განიხილება, მაგალითად, ბიუჯეტის თემა გადის, ვცდილობ, რომ დავისწრო. აი, ბოლოს, როცა მთავრობის ახალი შემადგენლობის განხილვა იყო, მე არ მიძილია კენჭისყრაში მონაწილეობა, ავადმყოფობის გამო საერთოდ არ ვყოფილგარ პარლამენტში, მაგრამ რომც ვყოფილყვავი, ხმას ნამდვილად არ მიყცემდი. ნოღაიდელის მთავრობას პირველად როცა უყარა კენჭი, მაშინ მივეცი ხმა; ეს იყო 2005 წლის დასაწყისში, მაგრამ როდესაც შემდეგში იყო მისი კენჭისყრა (2006 წლის ივლისში), პარლამენტის იმ სხდომას შეხებულდა და დავესწარი, რომ არ მიძეცა ხმა, იმიტომ, რომ რასაც ეს მთავრობა აკეთებს, ჩემთვის ძალიან ბევრი რამე მიუღებელია.

იმასაც გეტყვით, რომ „უმრავლესობაში“ ძალიან ბევრ ღირსეულ ადამიანს ვხედავ. მათ შორის არიან ისეთებიც, ვისთვისაც ალბათ მოსაწონი არ ვარ, ისევე, როგორც ისინი მე არ მომწონს, თუმცა ჩვენ ერთმანეთთან ზრდილობიან ურთიერთობებს ვინარჩუნებთ. მე ძალიან ვაფასებ იმ თავისუფლებას, რა თავისუფლებაც მაქვს უმრავლესობაში; ანუ კენჭისყრის დროს ჩემი შეხედულებით ვიღებ გადაწყვეტილებას — რას დავუჭირო მხარი, რას არა. ჩემდა საბედნიეროდ, არავისგან არანაირ შენიშვნას არ ვიღებ, თორემ შენიშვნა რომ მიმეღო, ჩვენი გზები გაიყრებოდა და ფრაქციას დაგტოვებდი. მაგალითად, გირგვლიანის საკითხზე ოპოზიცია საგამოძიებო კომისიის შექმნას ითხოვდა, რასაც მხარი დავუჭირე. ეს „უმრავლესობის“ ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ არავისგან არანაირი საყველური არ მიძილია. ასევე, როდესაც პარლამენტში იხილებოდა საკითხი სასამართლო დარბაზიდან ტელეკამერების გაყვანის შესახებ, მე ამ კანონს „წინააღმდეგი“ მივეცი, იმიტომ რომ ჩემთვის ერთი და იგივე თემა იყო: რა გირგვლიანის საკითხი და რა ტელეკამერების იქ ყოფნა. ჩემთვის არავის არაფერი არ უთქვამს.

**- ასეთი დაშვება მხოლოდ თქვენი პიროვნების მიმართ ხდება, თუ საერთოდ არის ასეთი დემოკრატია „უმრავლესობაში“?**

— ამაზე პასუხს ნამდვილად ვერ გეტყვით, რადგან არ ვიცი, სხვა დეპუტატების მიმართ როგორ არის. მე შემიძლია ვთქვა მხოლოდ ჩემთან დაკავშირებით. ხანდახან ნაცნობები მეტითხებიან: კი, მაგრამ ამას რომ აკეთებ (ან ჩემს ინტერვიუებს რომ კითხულობენ), არაფერს გეუბნებიან? მე ვპასუხობ: — არა, არ მეუბნებიან არაფერს და მე ამას ვაფასებ, ე.ი. ისინი, გარკვეულწილად, პატივს მცემენ. საერთოდ, ვცდილობ პარლამენტში მხოლოდ ისეთ საკითხებზე გამოვიდე, რომელშიც თავს პროფესიონალად მივიჩნევ, ანუ ვცდილობ უფრო ეკონომიკურ საკითხებზე ვისაუბრო. როდესაც თავისუფალ ზონებზე იყო მსჯელობა და კამათი, მე პოზიცია დავაფიქსირე კიდევაც და

წინააღმდეგიც მივეცი ხმა. ბოლოს რომ იყო საქართველოს ბიუჯეტში ცვლილებები, როცა ხარჯები 435 მლნ.-ზე მეტით გაიზარდა, მე „წინააღმდეგი“ მივეცი და ვთქვი კიდევაც, რატომ მივეცი „წინააღმდეგი“.

ამავე დროს, აღვნიშნავ, რომ სრულად ვიზიარებ ჩვენი ხელისუფლების კურსს, რომ ქვეყნა შევიდეს ნატო-ში, ქვეყანას ჰქონდეს ევროპული ორიენტაცია. ჩემსა და სახელისუფლებო სტრუქტურებს, „უმრავლესობის“ წევრებს შორის განსხვავება არის არა ვექტორთან მიმართებაში, არამედ ამ ვექტორის რეალიზაციის მიმართულებით გადადგმულ ცალკეულ ნაბიჯებთან მიმართებაში, რომლებიც ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელია. ეს ცალკეული ნაბიჯები, ჩემი აზრით, ჩვენ ნატო-სთან და ევროკავშირთან კი არ გაახლოვებს, არამედ უფრო გააშორებს. მაგრამ ყველაზე მთავარია ის, თუ საით უნდა მიღიოდეს საქართველო. ჩემთვის პრინციპულად მნიშვნელოვანია საქართველოს დასავლური, ევროპული ორიენტაცია და ნატო-ში გაწევრიანება.

**- რამდენად გამართლებულად მიგანიათ სამთავრობო კარუსელის ამდენჯერ დატრიალება და განსაკუთრებით ეკონომიკის მინისტრის ასეთი ხშირი ცვლა?**

— დღეს ეკონომიკის მინისტრი ვინ იქნება, ამას მნიშვნელობა არა აქვს. დავიწყოთ იმით, რომ ჩვენ ეკონომიკის სამინისტრო არა გვაქვს არა მარტო იმიტომ, რომ მას სახელად ჰქვია ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, არამედ იმიტომაც, რომ ეს არის სახელმწიფო ქონების ყიდვა-გაყიდვის, უფრო სწორედ – ჩამორთმევა-გაყიდვის სამინისტრო. რაც შეეხება კარუსელს, ამაზე ერთ-ერთ ჩემს საგაზირო ინტერვუში ასეთი საბავშვო გამოცანა გავიხსენე: „მიღის, მოდის, ადგილზე დგას. რა არის? კარგი.“ უფრო სრულყოფილი იქნება: „მიღის, მოდის, ადგილზე დგას. რა არის? ჩვენი მთავრობის კარუსელი.“ კარგად გამიგეთ, ადგილზე დგომაში სულაც არ ვგულისხმოდ ნეგატიურს! არ მინდა ისე გამოვიდეს, რომ ჩვენს მთავრობას მხოლოდ ვლანძლავ. პოზიტიური ძალას ბევრი გვაქვს. მკითხველს შევახსენებ, რომ „ვარდების რევოლუციიმდე“ ქვეყანაში იყო საბიუჯეტო კრიზისი, თვეობით გაუცემელი ხელფასები და პენსიები; დღეს კი ლამის გაოთხმაგდა საგადასახადო შემოსავლები, ბიუჯეტში ფანტასტიკური ზრდა არის და რაც მთავარია, ხელფასები და პენსიები დროზე გაიცემა. მე ვერ დავუკარგავ მთავრობას იმასაც, რომ აშენებს გზებს, რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია. ცოტა ზედმეტ შადრევებს აშენებს და არის გატაცბული ბავშვების გართობით, მაგრამ, მთლიანობაში, ეს ძალიან დიდი პოზიტივია. თვითონ თბილისის იერსახე შეიცვალა, იცვლება ჩვენი ქალაქი, უფრო მეტად განათებულია და რაც მთავარია, ენერგეტიკული კრიზისი დაძლევულია, – როგორ შეიძლება ამაზე თვალის დახუჭვა! იმიტომ ვამბობ, რომ ეს კარუსელი მიდის, მოდის, ადგილზე დგას, ანუ ადგილზე დგას იმ თვალსაზრისითაც, რომ რაც კარგია, ეს გაგრძელდება; მაგრამ ადგილზე დგას იმ თვალსაზრისითაც, რომ რაც ცუდია, ისიც გრძელდება: ადამიანის უფლებების დარღვევა, საკუთრების უფლების დარღვევა, ესეც გაგრძელდება! ამიტომაც: მიღი-მოდის, იქვე დგას!

**- მარეგულირებელი კომისიების საქართვებაზე რას ფიქრობთ?**

— მარეგულირებელი კომისიების ინსტიტუტი მსოფლიოს ბევრ ქვეყნაში არსებობს. ჩემი პოზიცია იყო ასეთი, რომ ეს ინსტიტუტი არ იყო აუცილებელი, მთავარი იყო, რომ მთავრობაში ყოფილიყო პოლიტიკურად მწიფე და პროფესიონალი ხალხი, ვინც რეგულირების სფეროს მიხედავდა; მაგრამ მაშინ გარკვეულმა ძალებმა გაიტანეს მარეგულირებელი კომისიების შექმნა. ეს იყო პროექტი, რომელსაც „აწვებოდნენ“ USAID და მსოფლიო ბანკი, რომელიც მოითხოვდა რეფორმას. ზურაბ ცქიტიშვილი, პიროვნება, რომელსაც მე ძალიან დიდ პატივს უცემ, მაშინ დარგობრივი ეკონომიკის თავმჯდომარე გახლდათ; იგი აქტიურად ჩაერთო ამ საქმეში, შეისწავლა ეს საკითხი მაღალპროფესიულ დონეზე და ის პრაქტიკულად ერთადერთი პროფესიონალი იყო პარლამენტში, ვინც ამ საკითხის განსხრუციელებას სათავეში ედგა და წარმატებით განახორციელა კიდეც. სამწუხაროა, რომ მან დებუტატობა უკვე დატოვა. დღეს კი, როცა მარეგულირებელი კომისიების ინსტიტუტები არსებობს, მე უკვე მათი გაუქმდების წინააღმდეგი ვარ. შეიძლებოდა ისინი არც შეგვევნა; მაგრამ რაკი შეიქმნა, დღეს პირიქით, უნდა ვითიქროთ იმაზე, როგორ გავაუმჯობესოთ მათი საქმიანობა, როგორ გავხადოთ ის მართლა დამოუკიდებელი და თუ რომელიმე მარეგულირებელი კომისია რომელიაც საქონელზე (ვთქვათ, ელექტროენერგიაზე ან გაზზე) ფასის გაზრდის გადაწყვეტილებას იღებს, ყველამ უნდა ვიცოდეთ, რომ ეს არის არა მთავრობის, არა პრეზიდენტის, არა პარლამენტის, არა პოლიტიკური ინსტიტუტების, არამედ აპოლიტიკური მარეგულირებელი ორგანოს პრობლემა. ეს კულტურა, მე მგონი, თანდათანობით ინერგება ქვეყნაში, რაც მისასალმებელია და მიმართა, რომ მარეგულირებელ ინსტიტუტებს დღეს არა გაუქმდება, არამედ კიდევ უფრო გამყარება სჭირდება.

— ჩვენი საუბრის განმავლობაში თქვენ ახსენეთ საერთაშორისო ინსტიტუტები, რომელებიც ჩვენს ქვეყანას გარკვეულ რეკომენდაციებს აძლევენ ხოლმე. ასეგვე, ჩვენს პრეზიდენტებს ჰყავთ ხოლმე მრჩევლები. სააგაშვილის ახლა ჰყავს მარტ ლაპარ, შევარდნაძეს ლეშეკ ბალცეროვისი ჰყავდა, იყვნენ ადგილობრივი გენერალი, მაგრამითად თემურ ბასილია იყო პრეზიდენტის მრჩეველი. ახლა პრეზიდენტთან აპირებენ ეკონომიკურ მრჩეველთა საბჭოს შექმნას....

**ლადო პაპავა  
ექთნომიკის დარგში  
ნობელის პრემიის  
ლაურეატთან,  
სტენფორდის  
უნივერსიტეტის  
პროფესორ გენეტ  
ერთულთან ერთად**



— თემურ ბასილია ჩემი მეგობარია და მას ასევე როგორც პროფესონალს დიდ პატივს ვცემ... რაც შეეხება უკონომიკურ საბჭოს, ის არ არის შესაქმნელი, რადგანაც უკვე არსებობს! 2005 წლის დასაწყისში ამ საბჭოს შექმნის ინიციატივით მივმართე პრეზიდენტ საკამილს, მან მხარი დამიჭირა და ეკონომიკური საბჭო შექმნა, რომელიც 9 წელისაგან შედგება. მასში შესულია საქართველოს 9 ცნობილი ეკონომისტი. თვითონ პრეზიდენტი სააკამილი არის საბჭოს თაგვედომარე. საბჭოს აქვს თავისი დებულება. როცა მე შეეხვდი ბატონ მიხეილს 2005 წლის იანვარში, მან მითხრა კიდეც, რომ ეს საბჭო უნდა შექრებილიყო სულ ცოტა თვეში ორჯერ მაინც. საბჭო პირველად შეიკრიბა 2005 წლის მარტის შუა რიცხვებში. სამწუხაროდ, ეს იყო პირველი და უკანასკნელი შეხვედრა.

**— რატომ? საბჭომ არ იმუშავა თუ ხელისუფლებას არ აინტერესებს ცნობილ მეცნიერთა მოსაზრებები და რჩევები?**

— საბჭოს დებულებით განსაზღვრულია, რომ საბჭოს მოწვევის ინიციატორი არის ქვეყნის პრეზიდენტი და როცა ის მიიჩნევს საჭიროდ, მაშინ უნდა მოიწვიოს. მაგრამ, ალბათ, როცა პრეზიდენტს ჰყავს სამთავრობო „დინოზავრი“, სხვა ეკონომისტები მისთვის ისეთი „წვრილები“ არიან, რომ არ სჭირდება. ახლა, უბრალოდ, ვწუმრობ. ქუთაისში ყოფინისას მან ბენდუქიძეს დინოზავრი უწოდა: „სათაფლიაში ადგილი არის, ფეხი დაადგი და შენი ნაკვალევიც დარჩებაო“. თუმცა ბენდუქიძე „ნაკვალევი“ საქართველოში ბევრ სფეროში დატოვა და მომავალში დიდი ჯაფა იქნება საჭირო მათი გამოსწორებისათვის...

**— რამდენად უხმენს და უჯერებს ჩვენი ხელისუფლება უცხოელ თუ ადგილობრივ მრჩეველთა რჩევებს?**

— ლეშექ ბალცეროვიჩი როცა პრეზიდენტ შევარდნაძის მრჩეველი იყო, მან და მისმა გუნდმა წინადადებების ძალიან მნიშვნელოვანი პაკეტი მოამზადეს. მაგრამ მაშინ ეს წინადადებები გრიფით „საიდუმლო“ შედიოდა პირდაპირ პრეზიდენტთან, ინფორმაცია გარეთ არ გამოიიღდა. სანდახან რაიმე გამოუონავდა ხოლმე უერნალისტებიდან. არასრულად, მაგრამ გარკვეულწილად ჩემამდეც აღწევდა ეს ინფორმაცია — ზოგი უერნალისტების დახმარებით და ზოგიც თვითონ პოლონელი ექსპერტების მეშვეობით, რომლებიც ჩემი, როგორც ეკონომისტის კოლეგები იყენენ და ჩვენ პროფესიონალური თვალსაზრისით ვთანამშრომლობდით. ბალცეროვიჩის დროს მომზადებული ყველა წინადადება-რეკომენდაცია იყო მაღალპროფესიული, თუმცა, საზოგადოებისთვის ცნობილი არ იყო. სამწუხაროდ, ეს წინადადებები მხოლოდ ქაღალდზე იწერებოდა და მათ მთავრობა არანაირად არ ითვალისწინებდა.

რაც შეეხება მარტ ლაარს, რა ფორმატში მუშაობს იგი საქართველოს პრეზიდენტთან, ნამდვილად არ ვიცი. მე მარტ ლაარისთვის მომისმენია, დავესწარი ერთ-ერთ მის საჯარო ლექციას; საკმაოდ მაღალპროფესიონალია როგორც სახელმწიფო მოხელე, განათლებით ისტორიკოსი და აქვს საქმაოდ ლიბერალური შეხედულებები, რომლებიც ემთხვევა ჩემს შეხედულებებს და თანაც არის ძალიან პროდასავლური; მაგრამ რა ფორმატში მუშაობს, რამდენად კომპეტენტურია ის ეკონომიკაში და რა ფორმით აძლევს ამ რჩევებს (ეს არის ქაღალდზე გადატანილი თუ პირად საუბრებში, ეს არის შეხვედრები უშუალოდ პრეზიდენტთან თუ მის მინისტრებთან), ამის შესახებ მე ინფორმაცია არ

გამართია, ამიტომ ვერანაირ კომენტარს ვერ გავაკეთებ. მაგრამ კიდევ ერთხელ ვადასტურებ, რომ მარტ ლაარი არის მართლაც მაღალქალიფიციური პროფესიონალი სახელმწიფო მართვის სფეროში, პროდასავლური ორიენტაციის, ლიბერალური შეხედულებების.

**- რაც შეეხება საგალუტო ფონდები? ჩვენ გვახსოვთ საგალუტო ფონდის უმწვავესი შეფახები, მისი ძემორანდები. ანლა რალაც არ ჩანს მისი პოზიცია...**

— უკვე კარგა ზანია, მსოფლიო საფინანსო წესრიგიდან გამოდინარე, საერთაშორისო სავალუტო ფონდი არის წამყვანი საფინანსო ინსტიტუტი და მასთან თანამშრომლობას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. იგივე ლარის შემოღებასა და პურის ბაზრის ლიბერალიზაციაში ლომის წილი იყო სავალუტო ფონდის. მაგრამ 90-იანი წლების ბოლოს სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიაში, შემდეგ რუსეთში, მერე ბრაზილიაში განვითარებულმა საფინანსო კრიზისებმა (გახსოვთ, მაშინ აფეთქდა ყველაფერი საფინანსო-საბანკო სექტორში) გამოიწვია სავალუტო ფონდის ხელმძღვანელობის შეცვლა და სავალუტო ფონდის ავტორიტეტის დაკინება მთელ მსოფლიოში, იმიტომ რომ სავალუტო ფონდს გამოეპარა ამხელა კრიზისები. მოუხდავად ამისა, სავალუტო ფონდი, იმის გამო, რომ საქართველოში მუდმივი სეკვესტრი იყო, რაღაც ავტორიტეტს ინარჩუნებდა. შეგახსენებთ, რომ 2003 წელს სავალუტო ფონდმა შეაჩერა კიდევაც პროგრამები საქართველოს მთავრობასთან, რადგან შევარდნამის მთავრობა ამ დროს იყო აბსოლუტურად უზარო საქმე ეკონომიკა და სწორედ ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი, რამაც დააჩქარა შევარდნამის ხელისუფლების რევოლუციური გზით შეცვლა.

მას მერე, რაც რევოლუცია მოხდა, საქართველომ საგადასახადო შემოსავლების მობილიზებაში დიდ წარმატებებს მიაღწია და ეს განხორციელდა მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ახალ, პოსტრევოლუციურ მთავრობას ჰქონდა პოლიტიკური ნება დაემყარებინა საფინანსო წესრიგი ქვეყანაში. მან ეს მოახერხა, გაზარდა საგადასახადო შემოსავლები და რადგანაც ის ზრდიდა ამ შემოსავლებს, სავალუტო ფონდს სულ უფრო ნაკლები პრეტენზიები ჰქონდა. მიუხედავად ამისა, ერთი პერიოდი გართულდა ურთიერთობა სავალუტო ფონდსა და საქართველოს მთავრობას შორის. ეს იყო 2005 წლის გაზაფხულზე. მაშინ უკვე რამდენიმე თვის დანიშნულმა ახალმა პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაძის დანართულმა სავალუტო ფონდს მოსთხოვა, რომ შეცვლილიყო სავალუტო ფონდის მისი ხელმძღვანელი. საქართველოში და სავალუტო ფონდის პრაქტიკაში საქმაოდ იშვიათი რამ მოხდა — მათ გაიწვიეს მისი ხელმძღვანელი! ჩამოვიდა ახალი ხელმძღვანელი, რომელსაც, რა თქმა უნდა, უკვე ფორები ჰქონდა შეკვეცილი, რადგანაც დადგა იმ საფრთხის წინაშე, რომ თუ საქართველოს მთავრობა მოისურვებდა, კარიერას მასაც გაუფუჭებდნენ. ამიტომ უნდა გვაზსოვდეს, რომ სავალუტო ფონდში მუშაობენ ჩვეულებრივი ადამიანები, რომლებსაც საკუთარი ბიუროკრატიული კარიერის ინტერესები აქვთ. ისინი არიან საერთაშორისო დონის ბიუროკრატები, მაღარამ არავინ არაა დაინტერესებული, რომ მაინცდამანც საქართველოში გაიფუჭოს თავისი კარიერა.

ასე რომ, დღეს სავალუტო ფონდი ძალიან უსუსეურ მდგომარეობაშია და პრაქტიკულად, არის მხოლოდ და მხოლოდ მთავრობის აუდიტორი, თანაც, ძალიან „რბილი“ აუდიტორი.

**- რამდენად გამართლებულად მიგაჩნიათ ფინანსთა მინისტრის გადაყვანა ეროვნული ბანკის საბჭოს წევრად თუ ეროვნული ბანკის პრეზიდენტად?**

— როდესაც აღექსიშვილის კანდიდატურა დადგა პარლამენტში, მე მას მხარი დაუუჭირე და გეტავთ, რატომ. როცა ვუგვირდები მთელ რიგ სამთავრობო ცვლილებებს, გული მისკდება ხოლმე, ისეთი ხალხი ინიშნება! ყველაზე მეტად გული მისკდება იმის გამო, რომ მოდის აბსოლუტურად არაპროფესიონალი ხალხი. რაც შეეხება ლექსო აღექსიშვილს, მართალია ის ჩემი სტუდენტი არ ყოფილა, მაგრამ ეს ახალგაზრდა კაცი, პრაქტიკულად, ჩემს თვალწინ არის გაზრდილი. მახსოვს ის როგორ იყო ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციაში, როგორ წავიდა მერე საზღვარგარეთ სასწავლებლად, როგორ გახდა ეკონომიკის მინისტრი, მანამდე პარლამენტშის აპარატში მუშაობდა, გახდა ფინანსთა მინისტრის მოადგილე, ეკონომიკის მინისტრი, ფინანსთა მინისტრი და ეს პიროვნება პროფესიულად აშკარად გაიზარდა. ლექსო აღექსიშვილი იზრდება და რატომ უნდა გამოვრიცხოთ, რომ ეროვნული ბანკის პრეზიდენტის პოსტზე (თუკი იგი დაინიშნა პრეზიდენტად) კიდევ უფრო მეტად არ გაიზრდება?! „ეროვნული ბანკის შესახებ“ კანონი აძლევს ეროვნული ბანკის პრეზიდენტს სრულ დამოუკიდებლობას მთავრობისაგან და თუ თავის დროზე ნოღადიდელმა მოახერხა პროფესიული გაზრდა, აღექსიშვილი რატომ არ გაიზრდება?!

იმავდროულად, ისიც უნდა ითქვას, რომ სულაც არ არის გადაწყვეტილი, რომ აღექსიშვილი იქნება ეროვნული ბანკის პრეზიდენტი. ერთ-ერთი რეალური კანდიდატი როგორც პროფესიული თვალსაზრისით არის ირაკლი კოვჭანაძეც. არის სხვა სერიოზული კანდიდატებიც, თუმცა მათზე საუბარი, სამწუხაროდ, დღეს არავის ინტერესში არ არის...

**პიზესი და  
ენეჯენტი**

**- რაც შეეხება ყოფილ თავდაცვის მინისტრს ირაკლი ოქრუაშვილს, თქვენ მას პიროვნულად რამდენად გარგად იცნობდით და რამდენად მოხალოდნელი იყო ის ნამიჯი, რაც მან ბოლოხანს გადადგა?**

**- ირაკლი ოქრუაშვილს მხოლოდ მაშინ შევხვდრივარ, როდესაც ის იყო იუსტიციის მინისტრის მოადგილე და მე ვიყავი პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის მოადგილე; მაშინ რა კანონიც გამოიღიოდა, ყოველთვის მოყვებოდა იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელი და იძრიონიდელი იუსტიციის მინისტრი მიხეილ სააკაშვილი ხშირად აგზავნიდა პარლამენტში სწორედ ირაკლი ოქრუაშვილს. მე, ჩემი სამსახურეობრივი მოვალეობით, მიწევდა პარლამენტში მასთან შეხვედრები, თუმცა, ჩვენი შეხვედრები ხშირი მაინც არ ყოფილა და რამდენიმე წუთით იფარგლებოდა. ამის მერე მე მასთან არანაირი კონტაქტი არ მქონია არც რევოლუციამდე, არც რევოლუციის შემდეგ, იმიტომ რომ საპარლამენტო მდივნის თანამდებობა დავტოვე 2001 წლის ივნისში, ხოლო მოგვანებით მიხეილ სააკაშვილიც გადადგა და ასევე თანამდებობა დატოვა ოქრუაშვილმაც, როგორც მისმა მოადგილემ. რაც შეეხება იმას, რაც მოხდა, პირველი ის გამიკვირდა (თუმცა არ დაგიმაღავთ, გამიხარდა კიდეც), როდესაც ირაკლი ოქრუაშვილმა ეკონომიკური განვითარების მინისტრობაზე თქვა უარი.**

**- რატომ გაგიკვირდათ?**

**- იმიტომ, რომ არ მეგონა, თუ ის მთავრობას დატოვებდა; მაგრამ ჩემთვის ასევე მოულოდნელი იყო მისთვის ეკონომიკის მინისტრის თანამდებობის შეთავაზება, იმიტომ რომ კაცი ეკონომიკიდან ძალიან შორს იყო (თუმცა, მანამდე თავდაცვის მინისტრის პრეზიდენტმა დაავალა დვინის გაყიდვა საზღვარგარეთ, რაც თავისთავად კურიოზული დავალება იყო თავდაცვის მინისტრისადმი). ოქრუაშვილმა გამოიჩინა პრინციპულობა და არ დარჩა მთავრობაში. შეიძლება მაშინ დადებითადაც აღქმულიყო, რომ კაცმა, რომელსაც ეკონომიკა თავის სფეროდ არ მაიჩნდა, მის მინისტრობაზე თქვა უარი. ხოლო რაც შეეხება იმას, რომ ოქრუაშვილი ადრე თუ გვიან პოლიტიკურ სარბიელზე კვლავ გამოვიდოდა, ეს მოლოდინები საზოგადოებაში დიდი ხანია არსებობდა. ყველა ადამიანი თავისუფალია და შეუძლია გააკეთოს განცხადება, რასაც საჭიროდ ჩათვლის. ყოველ შემთხვევაში, მთელი პრობლემა იმაში გახდავთ, რომ არის საკითხები, რომლებიც საზოგადოებამ პირველად გაივო, ეს ეხება უწინარეს ყოვლისა თემას, რომელიც ბადრი პატარკაციშვილთან არის დაკავშირებული; ხოლო სხვა დანარჩენზე ყოველთვის იყო საუბარი ქართულ საზოგადოებაში, არა მარტო ჭორაობის დონეზე. ქართულ მედიაში არაერთი წერილი გამოქვეყნდა, რომელიც ზურაბ უვანიას ტრაგედიას შეეხებოდა; არაერთი სატელევიზიო გადაცემა და პუბლიკცია მიეძღვნა ვალერი გელაშვილის ცემის ფაქტს და რა ვიცი... ოქრუაშვილს, პატარკაციშვილის თემისა, არაფერი ახალი არ უთქვაშს. უბრალოდ, საზოგადოებაზე ეფექტი იქონია იმან, რომ ყოველივე ეს მოისმინა იმ პირისაგან, რომელიც ხელისუფლებაში იყო.**

**- მაგრამ რამდენად სარწმუნოდ უნდა მივიღოთ მისი ეს განცხადებები? ერთია, როცა ხმები დადიოდა და ჰეორება, როდესაც მთავრობის ყოფილი წევრი აგეთებს ასე დამაჯერებლად განცხადებას...**

**- დამაჯერებლობა იმაში კი არ არის, ვინ უფრო რიხიანად იტყვის! დამაჯერებლობა არის იმაში, თუ რამდენად ჯდება იმ კონტექსტში, რაც მთავრობას აქამდე გაუკეთებია. ის, რომ აჭარაში დაინგრა ეკლესია და იმას რომ ადგილობრივი ჩინოვნიკი ვერ დაანგრევდა, ხომ ფაქტია! ოქრუაშვილმა ამაზე ბოკერიას დაადო ხელი, მაგრამ სინამდვილეში ბოკერიათ თუ ვინმე სხვა, ამით არაფერი იცვლება; აშკარაა, რომ თუ არა თბილისიდან თანხმობა ან მითითება, იქ მშენებარე ეკლესია არ დაინგრეოდა; იქ ადგილობრივი გამგებელი, როგორი „ვაშკაციც“ არ უნდა იყოს, ამას ვერ გააკეთებდა.**

**როდესაც ვიცით, რომ ბოლომდე არ გახსნილა გირგვლიანისა და რობაქიძის მკვლელობების საქმეები; როცა ვერ გვანიას სიკვდილთან დაკავშირებით გამოძიება საერთოდ არ მიმდინარეობს, თითქოს ეს უკვე აღარავის არ აინტერესბს, მივიწყებულია, ასლოლუტურად ყველაფერი დაზურულია; როცა ვიცით, რაც მოუკიდა გელაშვილს, აი, ამის ფონზე, რა თქმა უნდა, იბადება ასეთი ეჭვი: კი, მაგრამ რატომაც არა! თუ ეს მოხდა, სხვა რამ რატომ არის გამორიცხული?!**

**ახლა, მეორე მომენტი, როგორ არის საზოგადოება განწყობილი, დაიჯეროს ეს თუ არ დაიჯეროს. სამწუხაროდ, ამ ბოლო პერიოდში იმდენი ხალხია განაწყინებული მთავრობასა და ხელისუფლების სხვადასხვა წარმომადგენელზე, იმდენად გამწარებულია, რომ ერთმა ჩემმა კარგმა ნაცონბმა კოლორიტულმა თბილისელმა კიდევაც მითხრა: დღეს რომ ოქრუაშვილმა სულ ტყუილები იღაპარაკოს და ხელისუფლების წარმომადგენლებმა სულ სიმართლე, ხალხი მეტად მოვალეობის ტყუილს უფრო დაიჯერებს, ვიდრე ხელისუფლების წარმომადგენლების სიმართლეს, მიმომ რომ მათდამი ნდობა ნაკლები აქვს. ჩემთვის, რაც ოქრუაშვილმა ტელეეთერში განაცხადა, ვერ ვიტყვი, რომ 100%-იანი სიმართლეა, მაგრამ უფრო მეტია აღბათობა, რომ ეს მართლაც ასე იყო, ვიდრე ის, რომ ეს ასე არ არის.**

**პიზესი და  
ენეჯენტი**

კიდევ უფრო დამაბნეველი აღმოჩნდა ოქრუაშვილის მიერ გაკეთებული აღიარებითი ჩვენება, რაც ასევე არ არის გამორიცხული, რომ რაღაც ნაწილში მართალიც იყოს...

**- რას იტყვით ხელისუფლების მნიშვნელობის მიმართ წაყენებულ პრეტენზიებსა და ბრალდებებზე, იგივე კორუფციასთან დაკავშირებით?**

— კორუფცია — ეს საკმაოდ სერიოზული თემაა. რეცოლუციის შემდეგ შეიქმნა არასაბიუჯეტო ფონდები, რომლებიც აბსოლუტურად ეწინააღმდეგება ნებისმიერ საღ აზრს და თავისთვად არის კორუფციული მექანიზმი. როდესაც არასაბიუჯეტო ფონდები შეიქმნა სხვადასხვა ძალოვან უწყებაში, ეს არ იყო ბიუჯეტის ნაწილი, ეს იყო ბანკებში გახსნილი ანგარიშები, სადაც ყოფილ ჩინოვნიკებს თავისუფლების საფასურად გარკვეული თანხების შეტანას აიძულებდნენ. ასე რომ, ყოფილ ჩინოვნიკებს ახდევინებდნენ აღრე მოპარულ თანხებს არა მარტო ბიუჯეტის სასარგებლოდ, არამედ ამ ძალოვან უწყებებში არსებულ არასაბიუჯეტო ფონდებშიც. შემდეგ, ერთი წრე რომ დამთავრდა და ფონდებში ფული შემოაკლდათ, მეორე წრეზე მიადგნენ ყოფილ ჩინოვნიკებს; უკვე იმდენი ველარ მოხადეს „ქავი“, იმიტომ რომ უკვე მოხდილი იყო და ამის მერე მიადგნენ ბიზნესმენებს. აი, მხოლოდ ამის შემდეგ ამოილო ხმა სავალუტო ფონდმა, რომ ეს ფონდები გაუქმდებულიყო. მანამდე დუმდა, იცით, რატომ? სავალუტო ფონდს მიაჩნდა, თუ ეს არასაბიუჯეტო ფონდები ხელს უწყობს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას, დაე, იყოს! ეს არის სავალუტო ფონდის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული შეცდომა პოსტრევოლუციურ საქართველოში.

ყველაზე ბოლოს ასეთი არასაბიუჯეტო ფონდი 2006 წლის გაზაფხულზე დაიხურა სწორედ თავდაცვის სამინისტროში, რომელიც მის დახურვას ყველაზე დიდ წინააღმდეგობას უწევდა. მე არ ვიცი, ირაკლი ოქრუაშვილი პირადად რამდენად კორუმპირებული იყო თუ არა, მაგრამ ვიცი, რომ თავდაცვის სამინისტროშიც იყო ასეთი ფონდი და 2006 წლის მარტში ძლიერ მოხერხდა მისი დახურვა.

**- როგორ უნდა მოიქცეს მთავრობა, თუ ის ერთიანი გუნდია, მისი ყოფილი წევრის ბრალდებების შემდეგ?**

— კარგი შეკითხვა! როცა მთავრობის ყოფილი წევრი, გავლენიანი თავდაცვის მინისტრი აკეთებს ამისთანა განცხადებას, მაღალი პოლიტიკური კულტურის მქონე ქვეყნაში მთავრობა გადადგებოდა. ამ განცხადებების მერე მთელი მინისტრთა კაბინეტი უნდა გადამდგარიყო და პრეზიდენტისათვის მიეცა შესაძლებლობა, თავიდან ჩამოყალიბებინა მთავრობა.

**- რას იტყონით, მართლაც ხომ არ არის შესაცვლელი ჩეგნი ქვეყნის სახელმწიფობრივი მოწყობა? აქენებ, უარი უნდა ვთქვათ პრეზიდენტის ინსტატუტზე და დავუბრუნდეთ საპარლამენტო წყობას?**

— არა, მე საპარლამენტო წყობის უშაულო მომხრე არა ვარ. მე მომხრე ვარ კონსტიტუციური მონარქიის (**რჯო. შენიშვნა** — ეს ინტერვიუ ჩაწერილია საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის გამოსკლამდე ამ თემაზე). მე უკვე დავრწმუნდი ამაში, რომ ქართველ ხალხს სჭირდება მეუე, რომელიც იქნება გამართიანებელი საქართველოსი, რომელიც აუცილებლად უნდა იყოს ნამდვილი ბაგრატიონი; მეუე უნდა იყოს კარგი მაგალითი ყველასთვის და ქვეყნის მთლიანობის სიმბოლო, რომელსაც ქვეყნის მართვის არანაირი უფლებები არ ექნება და ქვეყნაში უნდა იყოს პარლამენტის მიერ არჩეული, დამტკიცებული პრემიერ-მინისტრი. ასეთი მოდელი (დაახლოებით, ბრიტანულ-იაპონური მოდელია) ბევრ ქვეყნაში გამოიყენება, სადაც პრემიერ-მინისტრი არის ქვეყნის ის მთავარი პირი, რომელიც ქვეყნას მართავს; ხოლო ქვეყნის სიმბოლო, სტაბილურობის გარანტი არის მონარქი.

თუმცა ერთ რამესაც შეგახსენებთ: როდესაც გამსახურდის ებრძოლენი ჩამოსაგდებად, მაშინ ყველა ყვიროდა, რომ საქართველოს არ სჭირდება პრეზიდენტი, საქართველოში უნდა იყოს საპარლამენტო რესპუბლიკა! მაგრამ როგორც კი ზვიად გამსახურდია გააგდეს საქართველოდან, ეს იმ წამსვე ყველამ დაივიწყა. მაშინ, გემახსოვრებათ, გამოლიონდნენ: როგორ, აფრიკის ქვეყნებს ჰყავთ პრეზიდენტები და საქართველოს როგორ შეიძლება რომ არ ჰყავდეს?! სხვა სიტყვებით, ოპოზიციის ლიდერებმა კვლავ დაიწყეს საპრეზიდენტო „გვირგვინის“ მოზომება თავის თავზე!

**- გაიხად საპარლამენტო არჩევნებში თუ აპირებთ მონაწილეობის მიღებას?**

— ჩემი ცხოვრების 6 წელი შევწირე მინისტრობას, დეპუტატობის პერიოდი კი 4 წელზე მეტი გამოვა. 10 წელიწადზე მეტია, პოლიტიკაში ვარ. მე მგონი, საკმარისია...

**- არაფერი გვითქვამს თქვენს პედაგოგიურ საქმიანობაზე; არადა, თქვენ ხომ პროფესიონალებს ზრდით,**

### **უნივერსიტეტში მოღვაწეობთ...**

— არა, რა მინდა ამ უნივერსიტეტში?! კარგად გამიგეთ! მაღლობელი ვარ ამ შეკითხვისთვის, იმიტომ რომ ჩემთვის ერთ-ერთი ცხოვრებისეული სფერო გახდავთ სტუდენტებთან მუშაობა. ძალიან მიყვარს ახალგაზრდები და არც ახალგაზრდებიდან კუჩიოდი უყურადღებობას ან გულგრილობას. ეს აუდიტორია ჩემთვის ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო. სხვადასხვა წლებში სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში ვასწავლიდი. განსაკუთრებული სისტემით ვარ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისადმი, რომელიც თავად დაგამთავრება და რომელშიც მერე გარკვეული პერიოდი ვასწავლიდი, ერთი პერიოდი კათედრის გამგეც გახლდით; ასევე ვასწავლიდი სხვა უმაღლეს სასწავლებლებში — გავიხსენებ ჩემს პედაგოგიკას „იქსემში“, „ჯიპაში“. მაგრამ დღეს არსად ვასწავლი. 2005 წელს დავწერე განცხადება და უნივერსიტეტიდან წამოვედი, კათედრა დაგროვე (მათინ რუსულა ლორთქიფანიძე იყო რექტორი). ეს გადაწყვეტილება მივიღე მაშინ, როდესაც მივჩვდი, რომ უნივერსიტეტის ნერევა დაწყებული იყო და მე ვერ შევაჩერებდი; მაგრამ ამავდროულად, ამ ნერევაში მონაწილეობა ნამდვილად არ მინდოდა.

დღეს მე არსად ვასწავლი. მაქს მხოლოდ მცირედი საათები — საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდში, სადაც მე გმუშაობ. აქ ხანდახან სხვადასხვა პროექტებში მიხდება ახალგაზრდებთან შეხვერდა, ლექციის წაკითხვა. ყოველთვის მაქს ახალგაზრდებთან შეხვერდის სურვილი, მაგრამ დღეს ჩემთვის ძალიან ბევრი რამ არის მოუღებელი, განსაკუთრებით ის, რაც ხდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ზოგადი ნათქვამი რომ არ იყოს, მოკლედ ვიტყვი, რომ 2006 წლის ზაფხულში ჩატარდა აბსოლუტურად უკანონო არჩევნები, კონკურსები. კანონის მიხედვით, უნდა მომხდარიყო პროფესორ-მასწავლებლების ახალ საშტატო განრიგზე გადაყვანა, მაგრამ ჩატარეს უკანონო კონკურსები, ხოლო ამ უკანონო კონკურსით ვინც ვერ გახდა უნივერსიტეტის თანამშრომელი, იქიდან დანიშნეს დეკანიც და დეკანის მოადგილეც!

მე ვმუშაობ მეცნიერების ძალიან საინტერესო სფეროში; მაქს ძალიან კარგი საერთაშორისო კონტაქტები. ალბათ, ვინმეს დასჭირდება, რომ კვლავ დავუბრუნდე უმაღლეს სკოლას და ვასწავლო ახალგაზრდა თაობას. მეც გარკვეულწილად მენატრება, მაგრამ ეს ჩემთვის მისაღება უნდა იყოს!

საერთოდ, სტუდენტობაზეც მინდა ვთქვა. ჩვენ, საქართველოს, ყოველთვის გამორჩეული სტუდენტობა გვყავდა. დღეს, ცოტა არ იყოს, დაგნინებულია. თებერვალში გახლდით ერთ-ერთ კონფერენციაზე ამერიკის შეერთებულ შტატებში და „ლანჩის“ დროს მევითხებოდნენ, რა ხდება საქართველოში. ჩვენს წარმატებებზეც ველაპარაგე; რა თქმა უნდა, ჩვენს სირთულეებზეც ვუთხარი, ნაკლოვანებებზეც და როცა ამ ნაკლოვანებებს ვყებოდი (განსაკუთრებით — ადამიანის უფლებების დარღვევას და საკუთრების უფლების დარღვევას), ერთ-ერთმა ამერიკელმა პროფესორმა მკითხა: კი, მაგრამ ამ დროს რას აკეთებს სტუდენტობა? რა უნდა მეთქვა, რომ სტუდენტობა, როგორც სოციალური ფენა არ არსებობს-მეთქა?! როდესაც უნივერსიტეტი ინგრეოდა, შეგახსენებთ, ჩვენი პროფესორ-მასწავლებლები ყვიროდნენ, სტუდენტები, მოდით და გვიშველეთო! პროფესორი უნდა ეძახდეს სტუდენტს, მოდი, გვიშველეო, თუ პირიქით — სტუდენტი უნდა იყოს ის აქტიური ძალა, რომელსაც პროფესორი უნდა უცნებოდეს: შეიღო, ნუ გარისკავ და თუ მანც მიღიარ რისკზე, დაგიდგენი გვერდით! 14 აპრილის ისტორიას შეგხსენებთ, როგორც სტუდენტობამ აიწყვიტა და უნდა გასულიყო გარეთ, პროფესურა დაუდგა გვერდით. ხოლო ახლა, როცა უნივერსიტეტი ინგრეოდა, პროფესურა ეხვეწებოდა სტუდენტებს გვერდში დადგომას. სტუდენტების ბოლო სპონტანური მასობრივი გამოსვლა მე მახსოვს, როდესაც ახალი ათასწლეული დგბორდა და მოითხოვდნენ, რომ ათასწლეული დგება და გამოცდებიდან გაგვათავისუფლეთო! ხომ სირცეს ვიღია! მე გულასტკივილით ვამბობ ამას. რა თქმა უნდა, ეს მოთვე ქართულ სტუდენტობას არ შეეხება, მაგრამ რეალურად პოზიტიური ნაწილი ჩვენი სტუდენტობისა დღეს ვერ შეადგენს იმ ბირთვს, რომელიც ქმნის ამინდს. დღეს სტუდენტობა, როგორც სოციალური ფენა, არ არსებობს, არის უბრალოდ დიპლომის მაძიებელი ხალხი, მაგრამ ვიმეორებები, ეს მაღლე შეიცვლება, იმიტომ რომ ქართველებში ყოველთვის იყო სწავლისადმი. სწავლას მოწყვერებულმა კაცმა ვერ უნდა აიტანოს ის, რაც ხდება უნივერსიტეტში; ხოლო როგორც კი პროტესტს გამოხატავს ამაზე, მერე პროტესტი უკვე სხვა რამესაც მიყვება. მე სტუდენტობას პროტესტისკენ კი არ მოვუწოდებ! არ შეიძლება, კაცი იყოს ახალგაზრდა, უნდოდეს სწავლა და მას დასცინოდნენ უნივერსიტეტში. ეს გაუგებარია! მე არ მესმის, რატომ იწყება უნივერსიტეტში სწავლა 1 ოქტომბერს. რა, სიზარმაცეს მივეჩვიოთ?

**— თქვენს გაბინეტში ძალიან ბეჭრი საინტერესო ფოტოთა, უამრავი დიპლომი, სიგელები... რომელიმეს ხომ არ გამოყოფდით?**

**— ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია სიგელი, რომელიც მე გადმომცა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, მასმა უწმინდესობამ და უნეტარესობამ ილია მეორემ. ასეთი სიგელი გადაეცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრებსა და წევრ-კორესპონდენტებს. მე 1997 წელს ამირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად და განსაკუთრებული დატვირთვის მქონეა ჩემთვის ეს სიგელი და თვითონ ეს**



# სიგელი

წმინდა ქაის წმინდე განეკუთხოვთ და მუნიკელის  
განვითარების შემახვევი განხილულობის წარმომადგენლობის  
მიზნებითა ქადაგის აკადემიის წევრ-კულტურული, ბაზობი კულტურული  
მაძიებელი და ფინანსურული საწმინდოს ხამატრიანული სისტემის.

დაქვემდებრებული იყო და მიხი თება.

სისტემის საწმინდოს  
კათოლიკოს-პატრიარქი

30 აგვისტი, 2007 წლის



**პიზესი და  
მთვარეთი**

შეხვედრაც, რომელიც მოეწყო ამ წლის დასაწყისში წმინდა სამების ტაძარში, კერძოდ, ახალგაზრდობის სასახლეში, რომელიც წმინდა სამების ტაძრის ქვეშ არის განთავსებული. ეს იყო ძალიან ამაღლებებული – ჩვენი უწმინდესის და უნეტარესის მხრიდან გამოხატული მხარდაჭერა და თანადგომა ქართველი მეცნიერებისადმი. ამიტომ ამას გამოვყოფ განსაკუთრებით.

ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ის სერთიფიკატი, რომელიც ადასტურებს, რომ 2004 წელს მეც გავხდი ჩემს კოლეგებთან ერთად საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. ქართველ ეკონომისტთა ექსპერტის კაცმა მივიღეთ ეს პრემია. რატომ არის სიმბოლური, იცით? ეს არის საქართველოს სახელმწიფოში ბოლო გაცემული სახელმწიფო პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში. საქმე ისაა, რომ პისტორევოლუციურმა მთავრობამ 2004 წლის სახელმწიფო პრემიის გაცემის შემდეგ გადაწყვიტა, რომ ასეთი პრემია არ უნდა არსებობდეს და გააუქმა. მე კი მეამბება, რომ ვარ ჩემი ქვეყნის, ჩემი სამშობლოს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

**- დაბოლოს, რაც მინდა გეითხოთ, ხართ თუ არა ოპტიმისტი?**

– რა თქმა უნდა, ოპტიმისტი ვარ. მე ჩემს ქვეყანაში ვცხოვრობ, შვილები მყავს, ჩემი ფესვებით ვარ აქ და ვიცი, რომ როგორი სირთულეებიც არ უნდა იყოს, ყველა გადაილახება, თუმცა არ ვიცი, სირთულეები რამდენ ხანს გასტანს. მე მინდა, რომ პრეზიდენტი იყოს წარმატებული, იმიტომ რომ პრეზიდენტის წარმატება ქვეყნის წარმატებაა. მე მინდა, რომ ჩვენს მთავრობაში იყვნენ პროფესიონალები, რომლებსაც ექნებათ ქვეყნის სიყვარული, იმიტომ რომ ეს აუცილებელია – თუ შენი ქვეყანა არ გიყვარს, შენ შეიძლება მხოლოდ იღუზია შექმნა წარმატების, ისეთი წარმატების, როგორიც ახლა აღმოჩნდა, რომ თურმე ბიზნესის განვითარებით მსოფლიოში მე-18 ადგილზე ვართ. მაგრამ იმისათვის, რომ ჩვენი პრეზიდენტი იყოს წარმატებული, მან უნდა გადახედოს ძალიან ბევრ რამეს და დავუშვათ, ელაპარაკოს ქართველებს ზუსტად ისე, როგორც ელაპარაკება უცხოელებს, როცა არის საზღვარგარეთ (იმ დამილით, იმ სითბოთი, იმ სიყვარულით, იმ დემოკრატიული ენით); არ გამოიყენოს ისეთი ტერმინები, როგორიც არის „ჩასარეცხები“; მიუღებელია აგრესიული განწყობა, მაგალითად, მთავრობის მიერ თაბუაშვილის ქუჩაზე შენობის დანგრევის გამართლება, და მრავალი სხვა მსგავსი ქმედებები.

**ესაუბრა: დალი ჩიბგაძე**